შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სამართალი:		ქართული კანონმდებლობა				
საბჭოს 1993 წლის 5 აპრილის დირექტივა 93/13/EEC სამომხმარებლო ხელშეკრულებების უსამართლო პირობების შესახებ		1. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ 2. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 3. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ სშ - სრულად შესაბამისი ნშ - ნაწილობრივ შესაბამისი შ - შეუსაბამო ას - არა სავალდებულო				
1	2	3	4	5	6	7
1.1	წინამდებარე დირექტივის მიზანია გამყიდველსა ან მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების უსამართლო პირობებთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოება.				ას	

1.2	წინამდებარე დირექტივის დებულებები, განსაკუთრებით, ტრანსპორტირების სფეროში, არ ვრცელდება სახელშეკრულებო პირობებზე, რომლებიც ასახავს სავალდებულო საკანონმდებლო და მარეგულირებელ დებულებებს და იმ საერთაშორისო კონვენციების პრინციპებსა და დებულებებს, რომლის მხარეებსაც წარმოადგენენ წევრი სახელმწიფოები ან გაერთიანება.				ას	
2	წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის: (a) „უსამართლო პირობები“ ნიშნავს მე-3 მუხლით განსაზღვრულ სახელშეკრულებო პირობებს;	1	23.2		სშ	
	(b) „მომხმარებელი“ არის ფიზიკური პირი, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებული ხელშეკრულებების შემთხვევაში მოქმედებს ისეთი მიზნით რომელიც არ არის კავშირში მის კომერციულ საქმიანობასთან, ბიზნესთან ან პროფესიასთან;	1	4	ზ) მომხმარებელი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს პროდუქტს, უპირატესად, პირადი მოხმარების და არა სავაჭრო სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის მიზნით.	სშ	
	(c) „გამყიდველი ან მიმწოდებელი“ არის იფიზიკური ან იურიდიულ პირი, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებული ხელშეკრულებების შემთხვევაში მოქმედებს ისეთი მიზნებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია მის კომერციულ საქმიანობასთან, ბიზნესთან ან	1	4	ვ) მოვაჭრე - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს სავაჭრო, სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ასევე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც მოქმედებს მოვაჭრის სახელით ან დავალებით;	სშ	

	პროფესიასთან, მიუხედავად იმისა ეს საჯარო თუ კერძო საკუთრებაა.					
3.1	სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ინდივიდუალურად არ ყოფილა შეთანხმებული, ითვლება უსამართლოდ იმ შემთხვევაში, თუ, კეთილსინდისიერების მოთხოვნის საპირისპიროდ, ის იწვევს მნიშვნელოვან დისბალანსს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებში მომხმარებლის საზიანოდ.	1 1	22.1 23.1	ხელშეკრულების სტანდარტული პირობა არის მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის დადგენილი წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობა, რომლის გაცნობის შესაძლებლობა მომხმარებელს ჰქონდა. ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობები მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, ბათილია, თუ ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და იწვევს მომხმარებლის საზიანოდ სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობების გაუმართლებელ დისბალანსს, მათ შორის მისი ბუნდოვანი ფორმულირების გამო. მხოლოდ ხელშეკრულების საგნის რაობა ან მისი შესაბამისობა საპასუხო შესრულებასთან, არ ჩაითვლება ასეთ შეუსაბამობად. თუ ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ დეტალურად არის განსაზღვრული, მაშინ ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობად.	სშ	

		2	346	ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, <u>თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის.</u> ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა.		
3.2	პირობა ყოველთვის ჩაითვლება არაინდივიდუალურად შეთანხმებულად, როდესაც ის ჩამოყალებებული იქნა წინასწარ და, შესაბამისად, მომხმარებელს არ ჰქონდა პირობის შინაარსზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, განსაკუთრებით, წინასწარ შედგენილისტანდარტული ხელშეკრულების კონტექსტში.	1	23.1	ხელშეკრულების სტანდარტული პირობა არის მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის დადგენილი წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობა, რომლის გაცნობის შესაძლებლობა მომხმარებელს ჰქონდა.	სშ	
	ის ფაქტი, რომ რომელიმე ან ერთი კონკრეტული პირობის გარკვეული ასპექტები ინდივიდუალურად იქნა შეთანხმებული, არ გამორიცხავს წინამდებარე მუხლის ხელშეკრულების	1	22.2	მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ხელშეკრულების პირობა მხარეთა მიერ ინდივიდუალურად იქნა შეთანხმებული ეკისრება მოვაჭრეს.		
	დანარჩენი ნაწილის მიმართ გამოყენებას, თუ ხელშეკრულების საერთო შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ ის მაინც წარმოადგენს წინასწარ შედგენილ სტანდარტულ ხელშეკრულებას.	2	342.2	ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც		
	იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი ან მიმწოდებელი აცხადებს, რომ					

	ხელშეკრულების სტანდარტული პირობა ინდივიდუალურად იქნა შეთანხმებული, აღნიშნულის მტკიცების ტვირთი მას უნდა დაეკისროს.			უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემვსები წესების დადგენა. თუ ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ დეტალურად არის განსაზღვრული, მაშინ ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობად.		
3.3	დანართი შეიცავს იმ პირობების მიახლოებით და არასრულ ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს უსამართლოდ.	1	23.2		სშ	
4.1	მე-7 მუხლში განსაზღვრულ შეზღუდვებთან წინააღმდეგობაში მოსვლის გარეშე, სახელშეკრულებო პირობის უსამართლო ხასიათი უნდა შეფასდეს იმ საქონლისა და მომსახურების ბუნების გათვალისწინებით, რომლისთვისაც დაიდო ხელშეკრულება და ხელშეკრულების დადების მომენტში არსებული ყველა თანმხლები გარემოებისა, რომელმაც განაპირობა ხელშეკრულების დადება და მოცემული ან სხვა ისეთი ხელშეკრულების ყველა დანარჩენი პირობის მითითებით, რომელზეც ის დამოკიდებულია.	2	346	ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა.	სშ	
4.2	პირობების უსამართლო ბუნების შეფასება არ უნდა უკავშირდებოდეს, ერთი მხრივ, არც ხელშეკრულების საგნის რაობაზე და არც ფასისა და ანაზღაურების შესაბამისობას სანაცვლოდ	1	23.1	ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობები მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, ბათილია, თუ ეწინააღმდეგება ნდობისა და	სშ	

	მისაწოდებელი საქონლის ან მომსახურების ოდენობასთან, თუ ეს პირობები ჩამოყალიბებულია მარტივ და გასაგებ ენაზე.			კეთილსინდისიერების პრინციპებს და იწვევს მომხმარებლის საზიანოდ სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობების გაუმართლებელ დისბალანსს, მათ შორის მისი ბუნდოვანი ფორმულირების გამო. <u>მხოლოდ ხელშეკრულების საგნის რაობა ან მისი შესაბამისობა საპასუხო შესრულებასთან, არ ჩაითვლება ასეთ შეუსაბამობად.</u>		
5	იმ ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებშიც მომხმარებლისთვის შეთავაზებული ყველა ან ცალკეული პირობა არის წერილობითი ფორმით, ამგვარი პირობები ყოველთვის უნდა ჩამოყალიბდეს მარტივი და გასაგები ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ პირობის შინაარსის თაობაზე არსებობს ეჭვი, უპირატესობა ენიჭება მომხმარებლისთვის ყველაზე ხელსაყრელ განმარტებას. განმარტებასთან დაკავშირებული ეს წესი არ გამოიყენება მე-7(2) მუხლით განსაზღვრულ პროცედურებთან მიმართებაში.	1 2	22.3 345	მომხმარებლისათვის წერილობითი ფორმით შეთავაზებული პირობები უნდა ჩამოყალიბდეს მარტივ და გასაგებ ენაზე. პირობა, რომელიც იძლევა მისი ორაზროვნად განმარტების საშუალებას, განიმარტება მომხმარებლის სასარგებლოდ. თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ტექსტი ბუნდოვანია, მაშინ იგი ბათილია ან განიმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ.	სშ	
6.1	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ, რომ მომხმარებელსა და გამყიდველს ან მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებებში გამოყენებული უსამართლო პირობები, ეროვნული კანონმდებლობით	1	23.3	ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ უსამართლო სტანდარტული პირობა არ წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას	სშ	

	გათვალისწინებულ წესების მიხედვით , არ უნდა ბოჭავდეს მომხმარებელს და რომ ხელშეკრულება უნდა განაგრძობდეს მხარეების დავალდებულებას, შეასრულონ ეს პირობები, თუ ხელშეკრულების არსებობა შესაძლებელი იქნება უსამართლო პირობების გარეშე.	2	60	და თუ სავარაუდოა, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე. გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც.		
6.2	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომხმარებელმა არ დაკარგოს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული დაცვა არაწევრი ქვეყნის კანონის ხელშეკრულების მიმართ მოქმედ კანონად არჩევით, თუ ხელშეკრულებას ახლო კავშირი აქვს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიასთან.	3	35.3	სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს.	სშ	
7.1	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ, მომხმარებლებისა და კონკურენტების ინტერესებიდან გამომდინარე, გამყიდველსა ან მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დადებულ ხელშეკრულებებში უსამართლო პირობების განგრძობადი გამოყენების თავიდან ასაცილებლად სათანადო და ეფექტური საშუალებების არსებობა.	1	31.4	თ) თუ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობას უსამართლოდ მიიჩნევს, იგი უფლებამოსილია იმავე ეკონომიკურ სექტორში მოქმედ მოვაჭრეებს ან მათ გაერთიანებებს აუკრძალოს მსგავსი უსამართლო სტანდარტული პირობების გამოყენება ან რეკომენდაციის გაცემა, რომ ასეთი პირობები გამოიყენონ.	სშ	

7.2	1-ელ პუნქტში მითითებული საშუალებები მოიცავს დებულებებს, რომელთა თანახმად ფიზიკურ პირებს ან ორგანიზაციებს, რომლებსაც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით აქვთ მომხმარებელთა დაცვის კანონიერი ინტერესი, შესაბამისი ეროვნული კანონის თანახმად შეუძლიათ აღძრან საქმე სასამართლოში ან უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებში იმის დასადგენად, არის თუ არა საერთო გამოყენებისთვის შედგენილი სახელშეკრულებო პირობები უსამართლო, რათა მათ შეძლონ სათანადო და ეფექტური საშუალებების გამოყენება ამგვარი პირობების უწყვეტი გამოყენების თავიდან ასაცილებლად.	1 1	4 32.1	ა) განმცხადებელი – ნებისმიერი პირი, რომელიც უფლებამოსილ ორგანოს მიმართავს მომხმარებლის უფლების დარღვევის ან/და სავარაუდო დარღვევის შესახებ, მიუხედავად იმისა დარღვეულია თუ არა მისი ინტერესი. განმცხადებელს უფლება აქვს სააგენტოს წარუდგინოს განცხადება მომხმარებლის უფლებების სავარაუდო დარღვევის თაობაზე.	სშ	
7.3	ეროვნული კანონების სათანადოდ გათვალისწინებით, მე-2 პუნქტში მითითებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები შეიძლება ცალ-ცალკე ან ერთად იქნეს მიმართული ერთ ეკონომიკურ სექტორში მოქმედი რამდენიმე გამყიდველის ან მიმწოდებლის ან მათი გაერთიანებების წინააღმდეგ, რომლებიც იყენებენ ან რეკომენდაციას უწევენ იმავე სტანდარტული სახელშეკრულებო პირობების ან მსგავსი პირობების გამოყენებას.	1	31.4	თ) თუ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობას უსამართლოდ მიიჩნევს, იგი უფლებამოსილია იმავე ეკონომიკურ სექტორში მოქმედ მოვაჭრეებს ან მათ გაერთიანებებს აუკრძალოს მსგავსი უსამართლო სტანდარტული პირობების გამოყენება ან რეკომენდაციის გაცემა, რომ ასეთი პირობები გამოიყენონ.	სშ	
8	წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ ან ძალაში დატოვონ უმკაცრესი დებულებები წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ სფეროში. რომლებიც				ას	

	ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შესაბამისობაშია, მომხმარებლის დაცვის მაქსიმალური დონის უზრუნველსაყოფად.					
8a.1	იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფო იღებს დებულებას მე-8 მუხლის შესაბამისად, მან ამის შესახებ, ასევე ნებისმიერი შემდგომი ცვლილების შესახებ, უნდა შეატყობინოს კომისიას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დებულებები: – ავრცობს უსამართლო ხასიათის შეფასებას ინდივიდუალურად შეთანხმებულ სახელშეკრულებო პირობებზე ან ფასისა და ანაზღაურების შესაბამისობაზე; ან – შეიცავს სახელშეკრულებო პირობების ჩამონათვალს, რომლებიც უსამართლოდ ითვლება.				ას	
8a.2	კომისია უზრუნველყოფს, რომ 1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაცია იყოს იოლად ხელმისაწვდომი მომხმარებლებისა და მოვაჭრეებისთვის, მათ შორის, სპეციალურ ვებგვერდზეც.				ას	
8a.3	კომისიამ უნდა გაუგზავნოს 1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაცია სხვა წევრ სახელმწიფოებსა და ევროპარლამენტს. კომისიამ დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაციაზე უნდა გაუწიოს კონსულტაცია.				ას	

9	კომისიამ ევროპარლამენტსა და საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში წინამდებარე დირექტივის გამოყენებასთან დაკავშირებით მე-10(1) მუხლში მითითებული თარიღიდან არაუგვიანეს ხუთი წლისა.				ას	
10.1	წევრმა სახელმწიფოებმა წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის საჭირო კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები ძალაში უნდა შეიყვანონ არაუგვიანეს 1994 წლის 31 დეკემბრისა. ისინი ამის შესახებ მაშინვე აუწყებენ კომისიას. აღნიშნული დებულებების მოქმედება გავრცელდება 1994 წლის 31 დეკემბრის შემდეგ დადებულ ყველა ხელშეკრულებაზე.				ას	
10.2	წევრი სახელმწიფოების მიერ აღნიშნული ზომების მიღებისას, მათში უნდა მიეთითოს ეს დირექტივა ან, ოფიციალურად გამოქვეყნების შემთხვევაში, მათ თან უნდა ახლდეს ამგვარი მითითება. მითითების გაკეთების მეთოდები განისაზღვრება წევრი სახელმწიფოს მიერ.				ას	
10.3	წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა აცნობონ ეროვნული კანონმდებლობის ძირითადი დებულებები, რომლებსაც ისინი მიიღებენ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ სფეროში.				ას	
11	წინამდებარე დირექტივა ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე/				ას	

	დანართი					
1	**მე-3(3) მუხლში მითითებული პირობები** პირობები, რომელთაც აქვთ მიზანი ან ძალა:					
1	(a)გამორიცხონ ან შეზღუდონ გამყიდველის ან მიმწოდებლის იურიდიული პასუხისმგებლობა მათი ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული მომხმარებლის სიკვდილის ან ფიზიკური ან მორალური ზიანის შემთხვევაში;	1	23.2	ა) დებულება, რომელიც გამორიცხავს ან <u>ზღუდავს მოვაჭრის პასუხისმგებლობას მომხმარებლის გარდაცვალების, ჯანმრთელობის დაზიანების</u> ან მისთვის უხეში გაუფრთხილებლობით სხვა სახის ზიანის მიყენების გამო, თუ ეს გარემოება დადგა მოვაჭრის მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად;	სშ	
1	(b) არასათანადოდ გამორიცხონ ან შეზღუდონ მომხმარებლის იურიდიული უფლებები გამყიდველის, მიმწოდებლის ან სხვა მხარის მიმართ გამყიდველის ან მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მათ შორის გამყიდველის ან მიმწოდებლის ვალის ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობის გამორიცხვაისეთი მოთხოვნით რაც მომხმარებელს შეიძლება ჰქონდეს მის მიმართ;	1	23.2	ბ) დებულება, რომელიც უსამართლოდ ზღუდავს ან გამორიცხავს მომხმარებლის მიერ მოვაჭრის ან მესამე პირის მიმართ მოთხოვნის წარდგენას მოვაჭრის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის, ასევე, ნაკლიანი შესრულების გამო. ასევე, დებულება, რომელიც გამორიცხავს მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობას;	სშ	
1	(c) გახადოს შეთანხმება მომხმარებლისთვის შესასრულებლად სავალდებულო, მაშინ, როცა მომსახურების მიწოდება გამყიდველის ან	1	23.2	გ) დებულება, რომლითაც მომხმარებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულების პირობა, მაშინ როდესაც მოვაჭრის	სშ	

	მიმწოდებლის მიერ ექვემდებარება პირობას, რომლის შესრულებაც მხოლოდ მის სურვილზეა დამოკიდებული;			მიერ ვალდებულების შესრულება განპირობებულია მხოლოდ მის ნებაზე დამოკიდებული პირობის დადგომით;		
1	(d) ნება დართოს გამყიდველს ან მიმწოდებელს, დაიტოვოს მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა, როცა ეს უკანასკნელი გადაწყვეტს, არ დადოს ან არ შეასრულოს ხელშეკრულება ისე, რომ არ უზრუნველყოს მომხმარებლის მიერ გამყიდველსა თუ მიმწოდებლისგან ეკვივალენტური ოდენობის კომპენსაციის მიღება, როცა ეს უკანასკნელი წარმოადგენს ხელშეკრულების გამწყვეტ მხარეს;	1	23.2	დ) დებულება, რომლითაც მოვაჭრეს უფლება ეძლევა დააკავოს მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა, როდესაც მომხმარებელი უარს ამბობს ხელშეკრულების დადებაზე ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება მოვაჭრის ინიციატივით და მომხმარებელი არ იღებს თანხის შესაბამის შესრულებას;	სშ	
1	(e) მოითხოვოს ნებისმიერი მომხმარებლისგან, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გადაიხადოს არაპროპორციულად მაღალი თანხა;	1	23.2	ვ) დებულება, რომელიც მომხმარებელს, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აკისრებს ზიანის ოდენობაზე მეტი თანხის გადახდის ვალდებულებას ან აძლევს მოვაჭრეს უფლებას მოსთხოვოს მომხმარებელს გაწეული ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება;	სშ	
1	(f) უფლებამოსილება მიანიჭოს გამყიდველს ან მიმწოდებელს, დისკრეციულ საფუძველზე გაწყვიტოს ხელშეკრულება, მაშინ, როცა მომხმარებელს არ ეძლევა იგივე საშუალება, ან ნება დართოს გამყიდველს ან მიმწოდებელს, დაიტოვოს	1	23.2	ზ) დებულება, რომელიც მოვაჭრეს უფლებას ანიჭებს გაუმართლებლად და ხელშეკრულებაში მითითებული საფუძვლის გარეშე ცალმხრივად თქვას უარი ხელშეკრულებაზე, ან მოვაჭრის მიერ ხელშეკრულებაზე	სშ	

	მომსახურებისთვის გადახდილი თანხა, რომელიც ჯერ არ მიუწოდებია, იმ შემთხვევაში, თუ თავად გამყიდველი ან მიმწოდებელი წყვეტს ხელშეკრულებას;			უარის თქმის შემთხვევაში, უფლებას აძლევს მას დააკავოს თანხა იმ მომსახურებისთვის, რომელიც არ გაუწევია;		
1	(g)საშუალება მისცეს გამყიდველს ან მიმწოდებელს, შეწყვიტოს განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულება გონივრული შეტყობინების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამისთვის სერიოზული საფუძველი არსებობს;	1	23.2	თ) დებულება, რომელიც მოვაჭრეს ანიჭებს უფლებას უარი თქვას განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებაზე, მომხმარებლისთვის გონივრულ ვადაში გაგზავნილი წინასწარი შეტყობინების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ხელშეკრულებაზე უარის თქმის მნიშვნელოვანი საფუძველი.	სშ	
1	(h) ავტომატურად გააგრძელოს განსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულება თუ მომხმარებელი არ მიუთითებს სხვაგვარად, როცა მომხმარებლისთვის დადგენილი ბოლო ვადა, გამოთქვას ხელშეკრულების არგაგრძელების სურვილი, არაგონივრულად მოკლეა;	1	21.1	ი) დებულება, რომლითაც ავტომატურად გრძელდება განსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულება მომხმარებლის თანხმობის გარეშე ან როდესაც მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ან გაგრძელების თაობაზე ნების გამოვლენისთვის დადგენილია არაგონივრულად მცირე ვადა;	სშ	
1	(i) საბოლოოდ დაავალდებულოს მომხმარებელი, შეასრულოს პირობები, რომლებთანაც გაცნობის საშუალება ხელშეკრულების დადებამდე მას არ ჰქონია;	1	23.2	ლ) დებულება, რომელიც მომხმარებელს ბოჭავს იმ პირობებით, რომელთა გაცნობის რეალური შესაძლებლობა მომხმარებელს ხელშეკრულების დადებამდე არ ჰქონდა;	სშ	

1	(j) საშუალება მისცეს გამყიდველს ან მიმწოდებელს, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები ხელშეკრულებით განსაზღვრული საპატიო მიზეზის გარეშე;	1	23.2	მ) დებულება, რომელიც მოვაჭრეს ანიჭებს უფლებას ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფუძვლიანი მიზეზის გარეშე ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით და მოვაჭრე ხელშეკრულების პირობების ცვლილების შესახებ მომხმარებელს გაუგზავნის შეტყობინებას გონივრულ ვადაში, ხოლო მომხმარებელს უფლება ექნება უარი თქვას ხელშეკრულებაზე.	სშ	
1	(k) საშუალება მისცეს გამყიდველს ან მიმწოდებელს, საპატიო მიზეზის გარეშე შეცვალოს მისაწოდებელი პროდუქტის ან მომსახურების ნებისმიერი მახასიათებელი;	1	23.2	ნ) დებულება, რომელიც მოვაჭრეს ანიჭებს უფლებას ყოველგვარი მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე ცალმხრივად შეცვალოს პროდუქტის თვისებები;	სშ	
1	(l) უზრუნველყოს საქონლის ფასის განსაზღვრა მისი მიწოდების დროსან საშუალება მისცეს საქონლის გამყიდველს ან მომსახურების მიმწოდებელს, გაზარდოს მისი ფასი ისე, რომ არ მისცეს მომხმარებელს ხელშეკრულებიდან გასვლისუფლება, თუ საბოლოო ფასი ძალიან მაღალია იმ ფასთან მიმართებაში, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს შეთანხმდა;	1	23.2	ო) დებულება, რომელიც მოვაჭრეს ანიჭებს უფლებას პროდუქტის მიწოდების მომენტში დაადგინოს პროდუქტის ფასი ან გაზარდოს ფასი ისე, რომ მომხმარებელს არ მიეცეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობა, თუ პროდუქტის საბოლოო ფასი მნიშვნელოვნად აღემატება ხელშეკრულების დადების მომენტში დადგენილ ფასს. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფასის ინდექსირება კანონით	სშ	

				ნებადართულია და ხდება წინასწარ დადგენილი მეთოდოლოგიით.		
1	(m) მისცეს გამყიდველს ან მიმწოდებელს უფლება, განსაზღვროს, არის თუ არა მიწოდებული საქონელი და ფასი ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში, ან მისცეს მას ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის განმარტების ექსკლუზიური უფლება;	1	23.2	პ) დებულება, რომელიც მოვაჭრეს ანიჭებს უფლებას განსაზღვროს შეესაბამება თუ არა პროდუქტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს ან ცალმხრივად განმარტოს ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა;	სშ	
1	(n) შეზღუდოს მყიდველის ან მიმწოდებლის ვალდებულება, პატივი სცეს მისი წარმომადგენლის მიერ ნაკისრ ვალდებულებას ან დაუქვემდებაროს მისი ვალდებულება კონკრეტულ ფორმალობას;	1	23.2	ჟ) დებულება, რომელიც ზღუდავს მოვაჭრის ვალდებულებას უზრუნველყოს მისი წარმომადგენლის მიერ აღებული ვალდებულების შესრულება ან ნაკისრი ვალდებულებები დაუქვემდებაროს ფორმალურ მოთხოვნებს;	სშ	
1	(o) დაავალდებულოს მომხმარებელი, შეასრულოს ყველა ვალდებულება, მაშინ, როცა გამყიდველი ან მიმწოდებელი არ ასრულებს თავისას;	1	23.2	ჟ) დებულება, რომელიც მომხმარებელს ავალებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, მაშინ როდესაც მოვაჭრე არ ასრულებს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს;	სშ	
1	(p) მისცეს მყიდველს ან მიმწოდებელს შესაძლებლობა, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა, როცა ეს შეიძლება ემსახურებოდეს მომხმარებლისთვის გარანტიების	1	23.2	ს) დებულება, რომლითაც მოვაჭრე ხელშეკრულებით ნაკისრ უფლებებსა და მოვალეობებს გადასცემს სხვა პირს, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ხელშეკრულების პირობების გაუარესება და რაზეც	სშ	

	შემცირებას ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე;			მომხმარებელს არ მიუცია თანხმობა;		
1	(q)გამორიცხოს ან შეზღუდოს მომხმარებლის უფლება, მიმართოს სასამართლოს ან ისარგებლოს სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებით, კერძოდ მოსთხოვოს დაავალდებულოს მომხმარებელს სადავო საკითხის მხოლოდ არბიტრაჟში წარადგინოს რაც არ არის გათვალისწინებული სამართლის ნორმებით, უსამართლოდ შეუზღუდოს მოხმარებელისთვის ხელმისაწვდომი მტკიცებულება ან დააკისროს მტკიცების ტვირთი, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ეკისრება ხელშეკრულების მეორე მხარეს.	1	23.2	ტ) დებულება, რომელიც ზღუდავს ან გამორიცხავს მომხმარებლის სამართლებრივი დაცვის უფლებას, მათ შორის დებულება, რომელიც ავალდებულებს მომხმარებელს, მისი უფლებების დაცვა განახორციელოს მხოლოდ არბიტრაჟში ან ზღუდავს მომხმარებლის შესაძლებლობას მოიპოვოს მტკიცებულებები ან მომხმარებელს აკისრებს მტკიცების ტვირთს, მაშინ როდესაც კანონის შესაბამისად, მტკიცების ტვირთი აწევს ხელშეკრულების მეორე მხარეს.	სშ	
2	**(g), (j) და (l) აბზაცების მოქმედების სფერო** (a) აბზაცი (g) არ ეწინააღმდეგება იმ პირობებს, რომლითაც ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი იტოვებს უფლებას, ცალმხრივად შეწყვიტოს განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულებაწინასწარ შეუტყობინებლად პატივსადები მიზეზის არსებობისას, იმ პირობით, რომ მიმწოდებელს მოეთხოვება, ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს სხვა ხელშემკვრელ მხარეს ან მხარეებს.	1	24.1	განუსაზღვრელი ვადით დადებული ფინანსური მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დებულება არ ჩაითვლება ბათილად თუ არსებობს ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლიანი მიზეზი და მოვაჭრე დაუყოვნებლივ აცნობებს ამის თაობაზე მომხმარებელს.	სშ	
2	(b) აბზაცი (j) არ ეწინააღმდეგება იმ პირობებს, რომლითაც ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი იტოვებს უფლებას, შეცვალოს მომხმარებლის გადასახდელი პროცენტის განაკვეთი ან	1	24.2	ფინანსური მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში, ბათილად არ ჩაითვლება ისეთი სტანდარტული პირობა, რომლის მიხედვით საფუძვლიანი მიზეზის	სშ	

	იმ პროცენტის განაკვეთი, რომელიც უნდა მიიღოს ამ უკანასკნელმა, ან მიღებული ფინანსური მომსახურებისთვის დაკისრებული სხვა გადასახადი, წინასწარ შეუტყობინებლად პატივსადები მიზეზის არსებობისას, იმ პირობით, რომ მიმწოდებელს მოეთხოვება, ამის შესახებ შეატყობინოს სხვა ხელშემკვრელ მხარეს ან მხარეებს პირველივე შესაძლებლობისას და რომ ამ უკანასკნელს ჰქონდეს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტის უფლება. აბზაცი (j) არ ეწინააღმდეგება იმ პირობებს, რომლითაც გამყიდველი ან მიმწოდებელი იტოვებს უფლებას, ცალმხრივად შეცვალოს განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების პირობები, იმ პირობით, რომ მას მოეთხოვება, ამის შესახებ მომხმარებელს შეატყობინოს გონივრულ ვადაში და რომ მომხმარებელს ჰქონდეს უფლება, გაწყვიტოს ხელშეკრულება.			არსებობის შემთხვევაში, მოვაჭრე ინარჩუნებს უფლებას, მომხმარებლისთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, შეცვალოს ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთი ან საკომისიოს ოდენობა, თუ იგი პირველივე შესაძლებლობისთანავე აცნობებს ამის თაობაზე მომხმარებელს, ხოლო მომხმარებელს უფლება ექნება დაუყოვნებლივ უარი თქვას ხელშეკრულებაზე;		
2	(c) აბზაცების (g), (j) და (l) მოქმედება არ ვრცელდება: - გარიგებებზე მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში, ფინანსურ ინსტრუმენტებსა და სხვა პროდუქციაზე ან მომსახურებაზე, როდესაც ფასი დაკავშირებულია საფონდო ბირჟის კვოტირების, ინდექსის ან საფინანსო ბაზრის განაკვეთის ცვლილებასთან, რასაც გამყიდველი ან მიმწოდებელი არ აკონტროლებს; - უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტებზე, სამგზავრო	1	24.3	23-ე მუხლის პირველი პუნქტის თ), მ) და ო) ქვეპუნქტებით განსაზღვრული დებულებები არ ჩაითვლება ბათილად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების, ფინანსური ინსტრუმენტებისა და სხვა ისეთი პროდუქტის თაობაზე დადებულ გარიგებაში, სადაც ფასი დაკავშირებულია საფონდო ბირჟაზე დადგენილი კოტირების ან ინდექსების ცვალებადობაზე ან ფინანსური ბაზრის განაკვეთზე,	სშ	

	ჩეკებზე ან საერთაშორისო ფულად გადარიცხვებზე, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში;	1	23.2	რასაც მოვაჭრე ვერ აკონტროლებს, ასევე - უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე, სამგზავრო ჩეკზე ან უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ საერთაშორისო ფულად გზავნილზე. მ) დებულება, რომელიც მოვაჭრეს ანიჭებს უფლებას ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფუძვლიანი მიზეზის გარეშე ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით და მოვაჭრე ხელშეკრულების პირობების ცვლილების შესახებ მომხმარებელს გაუგზავნის შეტყობინებას გონივრულ ვადაში, ხოლო მომხმარებელს უფლება ექნება უარი თქვას ხელშეკრულებაზე.		
	(d) აბზაცი (l) არ ეწინააღმდეგება ფასების ინდექსაციასთან დაკავშირებულ დათქმებს, თუ ისინი კანონიერია, იმ პირობით, რომ ფასების ცვლილების მეთოდი მკაფიოდ არის განსაზღვრული .			ო) დებულება, რომელიც მოვაჭრეს ანიჭებს უფლებას პროდუქტის მიწოდების მომენტში დაადგინოს პროდუქტის ფასი ან გაზარდოს ფასი ისე, რომ მომხმარებელს არ მიეცეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობა, თუ პროდუქტის საბოლოო ფასი მნიშვნელოვნად აღემატება ხელშეკრულების დადების მომენტში დადგენილ ფასს. გარდა	სშ	

				იმ შემთხვევისა, როდესაც ფასის ინდექსირება კანონით ნებადართულია და ხდება წინასწარ დადგენილი მეთოდოლოგიით.		